საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

02 ოქტომბერი 2023 წ.

ბრძანება № 01-08/46

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური დავალიანების მქონე, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სტატუსის აღდგენის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების" 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტის, 4^1 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 2023 წლის 21 სექტემბერს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის №05-01/01 გადაწყვეტილების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებისათვის, რომლებსაც 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეჩერებული ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი და სტატუსის შეჩერებიდან არ გასულა 5 წელი, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სტატუსის აღდგენის მიზნით, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სტატუსის აღდგენის მსურველ, ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა განცხადებების მიღება 2023 წლის 02 ოქტომბრიდან 06 ოქტომბრის ჩათვლით;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და კრედიტების აღიარების დასკვნების მომზადება 2023 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით;

გ) სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველთა მიერ 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის (პირველ ეტაპზე გადასახდელი საფასური) გადახდა 2023 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით;

დ) სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველთა მონაცემების შესახებ ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ მოხსენებითი ბარათის წარმოდგენა - არაუგვიანეს 2023 წლის 12 ოქტომბრისა;

ე) სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მოხსენებით ბარათში აღნიშნული სტუდენტების მიერ 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის (პირველ ეტაპზე გადასახდელი თანხა) გადახდის თაობაზე ინფორმაციის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენა - 2023 წლის 12 ოქტომბერი;

ვ) წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ შემაჯამებელი მოხსენებითი ბარათის წარმოდგენა, თანდართული ბხსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტით, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან იმ სტუდენტთა სტატუსის აღდგენის თაობაზე, რომლებმაც შეასრულეს წინამდებარე ბრძანების მოთხოვნები და დადგენილი წესის შესაბამისად გადაიხადეს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური - 2023 წლის 12 ოქტომბერი;

ზ) ბხსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემა და სტატუსაღდგენილი სტუდენტების 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით არსებული ფინანსური დავალიანების მოხსნის (გათავისუფლების) საკითხის განხილვისათვის ბხსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი წარდგინების წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენა - 2023 წლის 13 ოქტომბერი.

2. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს, რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბხსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს და საფინანსო სამსახურს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **თ. კეჟერაძე**